

ქალ-ვაჟთა თანაბარი განათლება საქართველოში

ქეთევან ჭკუასელი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის კათედრა

ანოტაცია

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესებმა მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოშვა. ერთერთი მათგანია გენდერი, ანუ სქესთა შორის სოციალური თანასწორობის საკითხი. გენდერული თანასწორობის ერთერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ქალ-ვაჟთა თანაბარი უფლება განათლებაზე. სტატიაში წარმოდგენილია საქართველოში ქალ-ვაჟთა განათლებაზე თანაბარი უფლებების პრობლემა ისტორიულ ასპექტში. კერძოდ, ნაჩვენებია არა მხოლოდ ქალთა განათლების უფლებები მამაკაცთა დარად, არამედ ზოგადად ქართველ ქალთა როლი და ადგილი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საკითხის ისტორიულ ჭრილში განხილვის შედეგად ნათელი ხდება, რომ საქართველო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით არა თუ ჩამოუვარდებოდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას, არამედ წინ უსწრებდა კიდევ მრავალ ასპექტში.

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესებმა მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოშვა. ერთ-ერთი მათგანია სქესთა შორის სოციალური თანასწორობის საკითხი, რომელიც გენდერის ტერმინითაა ცნობილი. ამ თემაზე დღეს მკვლევართა არა ერთი ჯგუფი მუშაობს. გენდერული თანასწორობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ქალ-ვაჟთა თანაბარი უფლება განათლებაზე. ამ პრობლემას საქართველოში უძველესი დროიდან განიხილავდნენ და არსებობს მკვეთრი პოზიციები საკითხთან მიმართებაში. წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით წარმოვაჩინოთ საქართველოში ქალ-ვაჟთა განათლებაზე თანაბარი უფლებების პრობლემები ისტორიულ ასპექტში.

განათლების თანასწორუფლებიანობის საკითხი პირველად კაცობრიობის ისტორიაში ბურჟუაზიულმა ეპოქამ დააყენა საყოველთაო განათლების მოთხოვნის სახით. საყოველთაო განათლება გულისხმობს განათლების მიღების თანაბარ უფლებას ყველა მოქალაქისათვის. პედაგოგიკის მეცნიერების რომელი კლასიკოსიც არ უნდა განვიხილოთ, იქნება იგი კომენსკი, პესტალოცი, რუსო, უშინსკი, გოგებაშვილი, თუ რომელიმე სხვა, ყველა ერთხმად მოითხოვს, რომ განათლების მიღების უფლება უნდა ჰქონდეს ყველას, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა საზოგადოებაში. რა თქმა უნდა იგივე პრინციპი აღიარებს განათლებაზე ქალ-ვაჟთა თანაბარ უფლებასაც. მაგრამ უფლება აუცილებელი, და არა საკმარისი პირობაა განათლების მიღებისა, რადგან უფლებას შესაძლებლობაც ემატება. თუ უფლება გაქვს, მაგრამ არ გაქვს შესაძლებლობა, ცხადია მაშინ უფლებაც ძალას კარგავს. სწორედ შესაძლებლობას ჰქმნის სახელმწიფო თავისი საგანმანათლებლო პოლიტიკით, რომელიც განსაზღვრულ ფარგლებში განათლებას სავალდებულო ხასიათს ანიჭებს განათლების საფასურის თავად გადახდით, ანუ განსაზღვრული ვადით უფასო სწავლების გამოცხადებით. სწორედ ამ პრინციპით,

საყოველთაო და სავალდებულო სწავლების პრინციპით უდგება დღეს განათლებას მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. მაგრამ, მიუხედავად ამ პრინციპის აღიარებისა, ფაქტობრივი მდგომარეობა, და კერძოდ, ქალთა და ვაჟთა თანაბარი დასაქმების უფლება, მაინც ირღვევა მრავალ ქვეყანაში, რაც ქალთა უფლებების შელახვის ნათელი მაგალითია.

საქართველოში, განსხვავებით მსოფლიოში არსებული მდგომარეობისა, ქალ-ვაჟთა თანაბარი უფლება განათლებაზე, და უფრო მეტიც, ქალის პატივისცემის იდეა, ადრეული საუკუნეებიდან იღებს სათავეს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ქართველი ხალხის უძველესი რელიგიური წარმოდგენებით (და მსოფლიოს მრავალი ხალხებისათვის) მზე მდედრობითი სქესისა (ქალი-მზე) და იგი დაკავშირებულია ნაყოფიერების ღვთაებასთან - "მზე დედაა ჩემი". "ქართველი ხალხის რწმენას, რომელსაც მზე მდედრობითი სქესის არსებად მიაჩნია, ახლაც აქვს შენახული მზის თაყვანისცემა. ფშავ-ხევსურთა დეკანოსები თავიანთ ლოცვებში ყოველთვის ამბობდნენ ხოლმე: "დიდება მზესა, იმის მყოლს ანგელოზსაო". (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია" თბ.,1951,გვ.77). ქალის დიდ პატივისცემად უნდა მივიჩნიოთ ძველქართული ტრადიცია, რომლითაც დედაკაცის მანდილს მოსისხლე მტრებიც კი შეურიგებია. ქართველი ქალი მამაკაცთან ერთად ჭირსა და ლხინს იზიარებდა. ამის მაჩვენებელია სიტყვა "მეუღლე". ანდა შეიძლება განვიხილოთ სიტყვა "დედაკაცი". ტერმინი "დედაკაცი" უეჭველია ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ დედა, ანუ ქალი, ისეთივე კაცია, ანუ ადამიანი, როგორც მამა, ანუ ვაჟი, მამაკაცი, ე.ი ქალიც და ვაჟიც თანაბარი კაცები, ანუ ადამიანები არიან. (გ.თავაძეშვილი) ხოლო გამოთქმები: ქალ-ვაჟი, დედ-მამა, და-ძმა, ცოლ-ქმარი, სიდედრ-სიმამარი, ყველგან ქალს აძლევენ პრიორიტეტს, პირველ რიგში ყოველთვის ქალი იხსენიება.

ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა ნათელი დასაბუთებაა ქართველი ქალის როლისა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც დასტურია იმისა, რომ ქალები მამაკაცის დარად იღებდნენ განათლებას. V საუკუნის ძეგლში " შუშანიკის წამება", იაკობ ხუცესი მიუთითებს, რომ შუშანიკი " ციხეში ექვსი წლის განმავლობაში კითხვითა წიგნითა მოუწყინებლად იყო",ან " თანა წარიღო ევანგელი თავისი და წმინდანი იგი წიგნი მოწამეთანი". ციხეში შუშანიკმა ზეპირად დაისწავლა ფსალმუნის 150 მუხლი. ე.ი. იმჟამინდელ საქართველოში ქალებს ჰქონდათ საშუალება, რომ " წიგნი ეკითხათ, გაეგოთ ქვეყნის ამბავი".

" ქართლი ცხოვრება" მოგვითხრობს, რომ ქართველთა მეფის ვახტანგ გორგასლის (Vს-ის 40-იანი წლები) დედას საგდუხტს, " ქმარმად მისმან მოგუარნა მეცნიერნი და უთარგმნეს სახარება" (" ქართლის ცხოვრება, I,თბ.1959,გვ. 143)

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მოსაზრებით, პალესტინაში ქალთა სამი კულტურულ – საგანმანათლებლო კერა იყო, რომელთა არსებობაც XII საუკუნიეს უნდა განეკუთვნებოდეს. ესაა ახალი დედათა მონასტერი " კაპპათა". იგი აუშენებიათ ბაგრატ IV-ის ცოლ ბორენასა და შვილ მართას.(კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია,I, თბ, 1960, გვ.521) ქართველ დედათა სავანეებში ისეთსავე კულტურულ – საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ, როგორც მამათა მონასტერში. ამიტომ თავისთავად იგულისხმება, რომ აქ მოღვაწე ქალები დიდ განათლებას ფლობდნენ. "საშუალო საუკუნეებში, წერს აკადემიკოს კ. კეკელიძე, - როდესაც დასავლეთ ევროპაში ქალი ბოროტ საწყისად იყო აღიარებული და მას, როგორც ასეთს, ხშირად ცეცხლის კოცონზე სწვავდნენ,

საქართველოში ნიკოლოზ გულაბერის-ძის მიერ ტრაქტატი იწერებოდა “ ქალის ღირსებისა და პატივის შესახებ” (იქვე,ევ595)

ქართველი ხალხის ცხოვრებაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XII საუკუნეს, როდესაც საქართველომ საზოგადოებრივ- პოლიტიკურ ცხოვრებაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში, ქვეყნის ერთ-ერთი მეფე იყო ქალი “თამარი” (1184-1213),უპირველესი მანიშნებელია იმისა რომ ქალები მამაკაცების თანასწორუფლებიანები იყვნენ და სწავლა განათლებასაც მათგვარად იღებდნენ. ეს ეპოქა ბრწყინვალედ ასახა შ. რუსთაველმა თავის უკვდავ ქმნილებაში” ვეფხისტყაოსანში, სადაც ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობა ნაწარმოების არა ერთ პასაჟში აისახა. თინათინის გამეფებასთან დაკავშირებით როსტევან მეფის ვეზირები ასე მიმართავენ: “თუცა ქალია, ხელმწიფედ, მართ ღმრთისა დანაზადია,არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამ კვლა დია”,ან კიდევ: ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია”.

ნესტან-დარეჯანი, ტარიელის მსგავსად, შვიდი წლის ასაკში იწყებს სწავლა-განათლებას. კერძოდ, ნესტან-დარეჯანს წვრთნიდა საგანგებო მასწავლებელი, ისიც ქალი, მამიდა დავარი, რომელიც სიბრძნით აღსავსე და ცოდნით გამორჩეული იყო “ მას ქალსა ნესტან- დარეჯან იყო სრულიად ხმობილი, შვიდისა წლისა შეიქმნა, ქალი წყნარი და ცნობილი”, . . . დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი, მას სიბრძნისა სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შვილი”.

აქ საგულისხმოა ის, რომ ქალი და ვაჟი თანაბრად იზრდება “საშობელი გაიყარა, ზრდა დაგვიწყეს მე და ქალსა” – ამბობს ტარიელი, და რომ ორივე მათგანის განათლება სიბრძნის შესწავლით იწყება, თანაც ბრძენთაგან და საერო პირის მასწავლებელთაგან.

გონებრივი განათლებისა და სიბრძნის კულტით, თანაბრად ქალთა და ვაჟთათვის, რუსთაველმა მთელი ეპოქებით წასწია წინ აღზრდის საქმე. განათლებისა და სიბრძნის შინაარსის გარკვევით, მათი აქტუალობისა და ქმედითი ფუნქციის გამოვლენით, რუსთაველმა მიუთითა თავისი დროის, ფეოდალური ეპოქის სააღმზრდელო და საგანამანათლებლო დაწესებულებებს, ოჯახური აღზრდის მწარმოებელ და კერძო აღმზრდელ – მასწავლებლებს, რომ ახალი თაობის აღზრდა არ შემოიფარგლოს მარტოოდენ ვაჟთა ფიზიკური და კეთილშობილ ქალთა ესთეტიკური აღზრდით, რაც საშუალო საუკუნეთა რაინდული აღზრდის სისტემას წარმოადგენდა, არამედ თანაბრად ამ თაობის ქალთა და ვაჟთათვის მიეცათ ფართო გონებრივი განათლება, მეცნიერული ცოდნა და კულტურა, ამავე დროს ეზრუნათ ახალგაზრდების ენისა და მეტყველების სწორი და მეცნიერული განვითარებისათვის.

სამწუხაროდ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობა დიდხანს არ გაგრძელდა. XII საუკუნეში მონგოლთა ურდოებმა კარგა ხნით დაიპყრეს ქვეყანა და შესაბამისად სამი საუკუნის განმავლობაში საქართველოში სისტემატური განათლება მოიშალა. სწორედ ამ პერიოდში ქართველმა ქალებმა ითავეს სწავლა-განათლების ურთულესი საქმე ოჯახური განათლებით, რაც წერა-კითხვისა და უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობის გადაცემით შემოიფარგლებოდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს არასოდეს შეუწყვეტიათ განათლებაზე ფიქრი. 1712 წელს ვახტანგ VI-ის მიერ გაიხსნა პირველი ქართული სტამბა. სტამბის გახსნას ვახტანგი, როგორც თავად აღნიშნავს, საჭიროდ მიიჩნევდა “ძეთა და ასულთა

ჩვენთა აღსაზრდელად” და ამ მიზნით თავის სტამბაში ყველაზე პირველად “ვეფხისტყაოსანი” დაიბეჭდა.

საქართველოში ქალთა განათლების მაღალ დონეს მიუთითებს მე-17 საუკუნის I ნახევრის იტალიელი მოგზაურის, არქანჯელო ლამბერტის ცნობა, რომ “ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ რომ ქალებს არ შეენახათ იგი. თუ ვინმეს უნდა კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიეხაროს სასწავლებლად” (არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 154).

მე-18 საუკუნეში ქალთა განათლების შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ცნობა იმის შესახებ, თუ როგორი აღრდა მიიღო მამია გურიელის ქალმა ეკატერინემ: “რა ჟამს ოდენ წარმოსდგებოდა პირველი ღონისძიება სწავლების დაწყებისა, მაშინვე მიაყოლებდნენ დავითს, შემდგომ დაუჯდომელს, სამოციქულოს, სახარებას, დაბადებას და სხვათა საღმრთოთა წიგნებითა. . . ხოლო საეროსა აღზრდასა მათსა დააბოლავებდნენ ხელთსაქმენი. განწყობილებას მოკითხვის წიგნისა, ნათესავისაგათა და მოკეთილთა მიმართ, მოთხოვრებით აღწერა მამისა ანუ ნათესავისა ვისამე მოქმედებათა, კითხვაი საგმიროთა პოეზიათა და სხვათა ამგვართა თხზულებათა, რომელნიც აღამაღლებდე გრძნობათა მათთა ყოველთა კეთილობითა და წარმართვაი შენაერთა საქმეთა სასიამოვნოდ. ერთი სიტყვით, წიგნობრივი აღზრდა ქალთა მრავალით აღემატებოდა აღზრდასა კაცთასა, რომელნიც მიმოიქცეოდნენ უმეტესად საქმეთა შინა სიმარდისა და მხნეობისათა” (გ. თავზიშვილი, სახალხო განათლება და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, 1948, II, გვ. 233).

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ქალი ჩვენს ქვეყანაში მარტო ვიწრო საოჯახო მეურნეობით კი არ იყო დაკავებული, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც საკმაოდ საპატიო მოღვაწეობას ასრულებდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ერთგვარი გავრცელება ჰპოვა საეკლესიო და სამონასტრო სკოლებმა. ყოველ მოზრდილ და კარგად ორგანიზებულ ეკლესიასა და მონასტერთან, როგორც წესი, თავს იყრიდა რამდენიმე ბავშვი, რომლებსაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ანგარიშს, საღვთო სჯულს და რიგ სხვა საგნებს. პროფ. გ. თავზიშვილის გამოკვლევების მიხედვით, 1817წელს ასეთი სკოლები არსებობდა ქ. თბილისში სიონის, კალოუზნის, მეტეხის, ქაშვეთის, ანჩისხატის და სხვა ეკლესიებთან. სკოლები არსებობდა აგრეთვე ნეკრესის, ახტალის, გარეჯის, ბოდბის, ნინოწმინდის, გელათის, მარტვილის, ბიჭვინთის, ცაიშის, ჯუმათის, შემოქმედის, სიონისა და მრავალ სხვა ეკლესია- მონასტრებთან.. როგორც ირკვევა, ზოგიერთ დიდ ეკლესია- მონასტრებთან, ეპარქიის ცენტრებში, კათედრალურ ტაძრებთან მაღალი ტიპის სკოლებიც არსებობდა, სადაც ასწავლიდნენ რიტორიკას, გრამატიკას, ფილოსოფიას, მეტაფიზიკას, ლოგიკას, ისტორიას, ღვთისმეტყველებას და სხვა. აღსანიშნავია, რომ ეკლესია- მონასტრებთან არსებულ სკოლებში ყველა წოდების ბავშვი მიიღებოდა და ამასთანავე არსებობდა როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა სკოლებში, სადაც ქალები ისეთსავე განათლებას ღებულობდნენ, როგორც ვაჟები. გარდა ამისა, 40-იან წლებში ქ. თბილისში გაიხსნა ქალთა და ვაჟთა პანსიონები.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში შეიქმნა პირველი ქალთა სასწავლებლები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი და წმ. ნინოს სასწავლებელი. ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი დაარსდა ქ. თბილისში 1842 წელს და ამ ინსტიტუტში იღებდნენ თავად-აზნაურთა და მსხვილ

მოხელეთა ბავშვებს. ინსტიტუტთან არსებობდა პანსიონი, რომელიც დახურული ტიპის სასწავლო დაწესებულება იყო. ინსტიტუტის დანიშნულებას შეადგენდა მოსწავლე ქალების აღზრდა და მომზადება იმ წესით, რომელიც მაშინდელი გაგებით შეეფერებოდა არისტოკრატიულ წრეებს. ამავე პერიოდში საქართველოში შეიქმნა "წმ. ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება". ეს საზოგადოება თავის ძირითად ამოცანად თვლიდა კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობას. ამ ამოცანის შესაბამისად, წმ. ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებამ 1846 წელს ქ. თბილისში და 1847 წელს ქ. ქუთაისში გახსნა წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები. ამ სასწავლებელთა დანიშნულებას, წესდების მიხედვით, შეადგენდა განათლებული ქალებისა და ოჯახის კარგი დედების მომზადება. წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლებთან არსებობდა პანსიონი. სასწავლებელი ორი კლასისაგან შედგებოდა. თითოეულ კლასს ჰქონდა სამი განყოფილება. სწავლების საერთო ხანძლივობა იყო 6 წელი. სასწავლებლის სწავლების კურსში შეტანილ იყო საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, მსოფლიო ისტორია, რუსეთის ისტორია, სუფთა წერა, გალობა, ცეკვები, ქართული და სომხური ენები.

XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს კულტურულ საგანმანათლებლო ცხოვრებაში შესამჩნევად გაიზარდა დაბალი ფენებიდან გამოსულ ქალთა როლი. წიგნიერები არაოფიციალური გავრცელების საქმეში ისინი მთავარ ძალას წარმოადგენდნენ. ქალები კრფდნენ ბავშვებს თავიანთ სახლებში და ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას და ანგარიშს, ისინი აწყობდნენ "კვირადღის სკოლებს" მოზრილთათვის, აწყობდნენ პატარა ბიბლიოთეკას და ხელს უწყობდნენ წიგნის გავრცელებას მოსახლეობაში. ყოველივე ეს მოითხოვდა ამ ქალთა ზოგადი და პედაგოგიური კულტურის ამაღლებას და მათ ფართოდ გამოყენებას საგანმანათლებლო მუშაობაში.

ქალთა აღზრდის თეორია და პრაქტიკა საქართველოში საგრძნობლად გაღრმავდა XIX საუკუნის 60-იან წლებში. ამ პერიოდში დღის წესრიგში დადგა სახალხო სკოლების მასწავლებელთა თანამდებობებზე ქალთა გამოყების აუცილებლობის საკითხი. მართალია, თბილისის სასულიერო სემინარია, თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიები და წმინდა ნინოს სახელობის თბილისის, ქუთაისის და თელავის ქალთა სასწავლებლები ამზადებდნენ მასწავლებლებს სამაზრო სკოლების სასწავლებლებისათვის, მაგრამ კურსდამთავრებულები რიცხოვნობით ვერ აკმაყოფილებდნენ საზოგადოების მზარდ მოთხოვნებს. ამ პერიოდის პრესაში, კერძოდ ყურნალ "ცისკარსა" და გაზეთ "კავკაზში" გამოქვეყნებულ წერილებს ლეიტმოტივად გასდევს აღზრდა-განათლების საქმეში ქალ-ვაჟთა თანასწორობის პრინციპი. ეს პრინციპი, როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, არც წინათ ეუცხოვებოდა ქართულ საზოგადოებას, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის 60-იანი წლებში დაიწყო სათანადო საზოგადოებრივი ბრძოლა. ამ ბრძოლაში საჭიროდ მიგვაჩნია წარმოვაჩინოთ ყურნალ "ცისკარის" პროგრესული ჯგუფის წარმომადგენლის პეტრე ჩარექიშვილის რამდენიმე საგულისხმო აზრი, რომელსაც იგი ამუქებდა ყურნალის ფურცლებზე. მას ქალი მიაჩნია "გულმხურვალე დედად, აღმზრდელად ახლის შთამომავლისა. . . აქედან ცხადად ჩანს თუ რა დიდნი და უაღრესნი არიან ზნეობითნი მოვალეობანი ქალისა და მამასადაძამე აღსასრულებლად მათთა რაოდენათ მოუცილებელი საჭირო არს მათთვის მიღება კანონიერის აღზრდისა, გინა განათლებისა, რომელიც აკმაყოფილებს ყოველთა მოთხოვნილებათა ამ ჩვენისა თანადროულისა ცხოვრებისას". რაში მდგომარეობს ეს "კანონიერი" აღზრდა კონკრეტულად? პ. ჩარექიშვილის, როგორც

პროგრესულად მოაზროვნე და განათლებული მოქალაქე, მეცნიერული სისწორით არკვევს მის შინაარსს. ის წერს: “კანონიერი აღზრდა ძალისა მდგომარეობს პარალელურ გზასა შინა სამთა მათთა ელემენტთა, ე.ი. ფიზიკურთა, ზნეობითთა, გონებითთა ნიჭთა და ძალთა მისთა. . . გონებისა გახსნა შეიძლება ხოლო სწავლისა და მეცნიერების გაცნობით და შესწავლით. . . მხოლოდ ესრეთთა განათლებისა მას შეუძლიან განთავისუფლება და მაშინ მოიპოვონ თავის სრულ ღირსებას, სიმართლესა, პატივის თანასწორ მამკაცთა, რომელსაც ეხლა სრულებით მოკლებულნი არიან”. (ცისკარი¹, 2, გვ. 208, 1863)

1860 წლის სპეციალური დებულებით საქართველოში დაწესდა ქალთა სასწავლებლების ორი ტიპი. პირველი თანრიგისა 6 წლიანი კურსით და მეორე თანრიგისა 3 წლიანი კურსით. 1862 წლიდან შემოდის დედოფალ მარიამის სახელობის ქალთა გიმნაზიები, სწავლების 7 წლიანი კურსით.

1860-1865 წლებში გაიხსნა ელემენტარული სკოლები ადგილობრივი მოსახლეობის დემოკრატიული ფენებისათვის თბილისში “საქველმოქმედო საზოგადოების მიერ”. პირველი ქალთა სკოლა საზოგადოებამ გახსნა 1860 წელს ავლაბარში, ხოლო 1862 წელს კი დამატებით - 4 სკოლა” უღარიბესი მშობლების ბავშვთა უფასო სწავლებისათვის. 1870 წლისათვის აღნიშნულ საზოგადოებას სულ 9 სკოლა ჰქონდა. შემდგომ წლებში ქალთა სკოლები გაიხსნა საქართველოს სხვა ქალაქებში - ქუთაისში, თელავში, ფოთში, ონში და სხვა.

XIX საუკუნის 60 იანი წლების ქალთა განათლების გავრცელების საქმეში სათანადო როლი ითამაშა აგრეთვე სამღვდელთაგან ე.წ. “სასულიერო წოდების ქალთა სასწავლებლების” შემოღებით. აღნიშნული სასწავლებლების მიზანს შეადგენდა “მტკიცე მართლმადიდებელ ქრისტიან ქალთა აღზრდა, რომლებიც მართლმორწმუნეობით უნდა ემსახურონ ეკლესიას და ოჯახს”.

როგორც ვხედავთ, საქართველოში ქალთა განათლების უფლებები არა თუ ილახება, არამედ საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია, რასაც ხელს უწყობს იმ დროინდელი საზოგადო მოღვაწეებისა და ინტელექტუალების მუდმივი ბრძოლა ამ მიმართებით.

საქართველოს ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურები გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები მოითხოვდნენ ქალთა თავისუფლებას და მათი განათლების გათანაბრებას მამაკაცთა განათლებასთან. ისინი გამოდიოდნენ ქალთა სრული ემანსიპაციის, მამაკაცთან მათი სრული საზოგადოებრივ- ეკონომიკურ, პოლიტიკური და უფლებრივი გათანასწოების მოთხოვნით. მე-19 საუკუნის 60-იანი წლების დიდ ქართველ მწერალთა და განმანათლებელთა იდეებს ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოხატავდნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და სხვა.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ფემინისტური მოძრაობის ერთი დიდი მეთაურთაგანი, ცნობდა ქალის თანასწორ უფლებას და მოვალეობას საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და კულტურის ყოველ დარგში. “შორს არ არის ის დრო, წერდა ილია, - როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეული იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისის კუთვნილის ადგილის დასაჭერად” (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1928წ. ტ. VIII, “ქართული წიგნის” გამოცემა, გვ. 278).

ქალთა სწავლა განათლება, ილიას აზრით უნდა მიდიოდეს ისევე, როგორც ვაჟებისა: - ზოგადი გონებრივი განათლების, ზნეობრივი და ტექნიკური განვითარების, ფიზიკური, მხატვრული, ეროვნულ-პატრიოტული და თვითმოქმედების აღზრდის გზით. ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა ქალებისათვის არ მარტო დაწყებით და საშუალო განათლებას, არამედ უმაღლესსაც.” დედათა სქესმა, წერს იგი, კაცობრიობის უკეთეს წარმომადგენლთა თაოსნობით, ღვაწლით და გარჯით, უკვე დაამტკიცა უფლება უმაღლესის სწავლისა და განათლების მიღებისა და ახლა მარტო ბრმანი და თვალახვეულნილა ეურჩებიან ამ უფლებას”.(ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1928წ,ტ.VIII, ” ქართული წიგნის” გამოცემა, გვ.277.

ასე გამაახვილა ილია ჭავჭავაძემ ხალხის ყურადღება ქალთა განათლების საკითხებზე, პირველ რიგში ქალისათვის იმ უფლების მინიჭებისა და იმ საზოგადოებრივ მოვალეობათა დაკისრებისათვის; რომელიც მამკაცს აქვს მინიჭებული და დაკისრებული. ილია აღიარებულია, რომ ქალს მხოლოდ მაშინ ექნება რეალური საშუალება უმაღლესი განათლების მიღებისა და გამოყენებისა, როდესაც ის ცნობილი იქნება ნამდვილად ადამიანად და უფლებამოსილ მოქალაქედ.

ასევე დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა ქალთა განათლებას ქართველი ხალხის სასიქადულო პოეტი აკაკი წერეთელი. მგოსნის აზრით, ქალთა აღზრდასაც იმ კრიტერიუმებით უნდა მივუდგეთ, როგორითაც ვაჟის სწავლას. მისი ფიქრით “ქალია მისი მარილი, მისი ბარომეტრი და გვირგვინი. . . საკეთილო ნიშნები მომავლისათვის ქალებში მეტია ვიდრე ვაჟებში და რადგანაც ქალები ხალხის ზნეობრივი ბარომეტრები არიან დავარდნილ საზოგადოებაში ყველაზე პირველ ეცემიან ქალები და ხალხის გამოფხიზლების დროსაც პირველი ნიშნები მათში იხედებიან” (აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ.XI,თბ.,1960, გვ.368). აკაკი წერეთელი დიდ იმედით შეხვდა ქ. თელავში ახალგაზრდა ქალების მიერ ღარიბ- ღატაკთა შვილებისათვის უფასო სკოლის გახსნას. “ ქალები! ქალები! და კიდევ ქალები!!!- წერს პოეტი,- ჯერ ისინი უნდა დავაყენოთ ღვთისა და კაცის სასიამოვნო და სასარგებლო გზაზე”. . . გავხსნათ ქალებისათვის საქალაქო სკოლები. . . აქედან გამოვლენ ის დედები, რომლებიც ჩვენ გვენატრება და მემრე მათი გაზრდილი შვილებიც ღირსი წევრები იქნებიან მომავალი, სანატრელი ახალთაობით”. (აკ. წერეთელი, თხზულებანი, ტ. XI,თბ.,1960, გვ. 11)

ცხადია ბევრი შეიძლება საუბარი აკაკი წერეთელის დამოკიდებულებაზე ქალ-ვაჟთა განათლების თანაბარ უფლებებზე, მაგრამ ვფიქრობთ, საკმარისი იქნება მოვიტანოთ მისი ერთ-ერთი გამონათქვამი ქართველი ხალხის შესახებ, სადაც ნათლად ჩანს, ზოგადად, ქართველი ერის მიმართება ქალთა სქესის მიმართ. “ივერიელები, ანუ ქართველები, სულ სხვა სახით უყურებენ ქალებს. უფლებით გათანასწორებულ ამაზონელებს პატივისცემით ეპყრობოდნენ და უკეთეს მათგანს გაოცებით იხსენიებდნენ, როგორც მაგალითად, საოცარ მედეას და გრძნეულ თირთაის- კოლხელ ქალებს. ეს იყო კერპთაყვანისმცემლობის დრო და შემდეგი, ქრისტიანობის დროს, დედაკაცი კიდევ უფრო ამაღლდა მამაკაცების თვალში საქართველოში. უამისოდაც არ შეიძლებოდა, რადგანაც ამ პატარა საქრისტიანო სამეფოში, როგორც ღვთისმშობლის საუფლისწულოში, პირველობა ყოლიფერში ქალებს ერგოთ: ერთი უბრალო მოგზაური, უძღური, კაპადოკიელი ქალის, წმინდა ნინოს მიერ გაქრისტიანდა ქართველი ხალხი. ქეთევან დედოფალი საოცარ მაგალიტს უჩვენებს საქრისტიანოს სჯულის და ეროვნებისათვის წმინდა მოწამეობისას. თამარ დედოფალი, რომლის მეფობის დროს სიკვდილით არავინ დასჯილა, უმტკიცებს მის შემდეგ

გვირგვინოსნებს, რომ ქვეყნის გაერთიანება და ამაღლება შეიძლება მხოლოდ სიტკბოებით, ლმობიერებით და სიყვარულით. აი ეს სამი ქალი ნათლის სვეეტად წინ უძღოდა ჩვენს დედებს. . . ეს სასწაული და გრძნეულება ქართველი ქალი იყო. ის ჭირშიაც და ლხინშიაც ქმარს და შვილებს გმირებად უმზადებდა მომავალს . . . XI საუკუნეში უმწვერვალეობამდე მიაღწიეს, არა თუ საშინაო საქმეში, საგარეოშიც კი, საპოლიტიკო ასპარეზზე” (აკ. წერეთელი, ჩემი ნაწერები, II, 1913, გვ.73)

ქართველი ხალხის საამაყო შვილი, იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო ქართველი ხალხის განათლების საქმეს და რომელიც მხარში ედგა ილიასა და აკაკის, განურჩევლად იცავდა ქალთა განათლების უფლებებს. იგი მოითხოვდა ქალთა სკოლების რიცხვის გაზრდას, მათი სწავლა – აღზრდის ევროპულ დონეზე აყვანას და, რაც მთავარია, იმას, რომ ქართველმა ქალმა კარგად შეისწავლოს მშობლიური ენა, ლიტერატურა და ისტორია, რადგან ამათ გარეშე შეუძლებელია სრულფასოვანი განათლების მიღება. იაკობი მოითხოვდა ქალთა საზოგადოებრივი ფუნქციის ამაღლებას, რათა ისინი “ იყვნენ მოქმედნი პირნი საზოგადო ასპარეზზედ” (ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები ,II, თბ.1940, გვ 488).იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება ქალთა როლსა და ფუნქციაზე საზოგადოებაში კარგად ჩანს მის მიერ ერთ-ერთ წერილში, სადაც იგი აღნიშნავს: “ ნასწავლი და ნიჭიერი ქალი, დაიარაღებული ქართული ენის და ლიტერატურის ცოდნით, ჩვენს დროში ადვილად გაირკვევს გზას, ადვილად დაადგება პატიოსანს და სასარგებლო შრომას, ადვილად იპოვნის დამოუკიდებელს სახსარს ცხოვრებისათვის. . . პირნათლად შეასრულებს ადამიანის დანიშნულებას, ამერიკის გამოცდილებამ აშკარად დაამტკიცა, რომ ქალს უფრო მომეტებული ნიჭი აქვს სწავლებისა და აღზრდისა, ბუნებისაგან მინიჭებული, ვიდრე ვაჟსა, უმეტესი ნაწილი ამერიკული სკოლებისა ქალების ხელშია”(ი. გოგებაშვილის, რჩეული პედაგოგიური ნაწერები, თბ.,1977, გვ.242)

ქალთა თანასწორუფლებიანობის და კერძოდ, მამაკაცის თანაბრად ქალთა განათლების პრინციპს ფართოდ აშუქებდა ჟურნალი “ განათლება”, რომელიც საქართველოში XX საუკუნის I მეოთხედში, კერძოდ, 1908-1920 წლებში გამოდიოდა ქართველი საზოგადო მოღვაწის და პედაგოგის ლუარსაბ ბოცვაძის რედაქტორობით. ჟურნალში მოთავსებული ამ დროის თითქმის ყველა გამოჩენილი მწერლისა, თუ საზოგადო მოღვაწის წერილები ნათელ წამოდგენას გვაძლევენ ქალთა განათლების აუცილებლობაზე და პროგრესულობაზე. ამ წერილებში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გამახვილებულია მეცნიერების, ხელოვნების დასაბუთებაზე, ჟურნალში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქალს ისევე შეუძლია დაეუფლოს მეცნიერებას, როგორც მამაკაცს. მათ შორის განსხვავება არ არსებობს, მამაკაცებს რაიმე უპირატესობა არ გააჩნიათ. ასეთი მოსაზრება გამოთქმულია, მაგ. გ. მეფარიშვილის წერილში” სწავლა – განათლების იდეალი”. “ მაგალითები გვიმტკიცებენ,-წერს ავტორი,- რომ ქალები არა ნაკლებ ნიჭს იჩენენ ცოდნა- განათლების შეძენაში და ბევრ საზოგადო და კერძო მოვალეობასაც მშვენივრად ასრულებენ. დღევანდელ საზოგადოებაში ხშირად ვხვდებით ქალებს-ექიმებს, ქალებს-მასწავლებლებს, ქალებს-იურისტებს, ქალებს-ტექნიკოსებს, ქალებს ინჟინრებს, ქალებს-ლიტერატორებს და სხვა. ქალი მშვენივრად სწავლობს და იყენებს ცხოვრებაში ყოველგვარ ხელობას. ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ დედაკაცები საკმარისად არიან ბუნებისაგან დაჯილდოებულები ნიჭითა და შეძლებით”. (გ.

მეფარიშვილი, სწავლა-განათლების იდეალი, ჟურნალი, "განათლება", 1912,¹⁹,GGგვ.655-56).

ქალთა განათლების საკითხის გაშუქებაში ჟურნალის პოზიცია ნათლად ჩანს ქალის, როგორც აღმზრდელის დახასიათებით: დედა პირველი და საუკეთესო აღმზრდელია შვილისა. თუ გინდა ბავშვს ასწავლო, ჯერ დედას უნდა ასწავლო. . . ქალებში განათლების გავრცელება, იმათი ცოდნით აღჭურვა, განვითარება ქალების გონებისა და ხაისათისა უპირველესი ამოცანაა ყველა ერის ცხოვრებაში".(ლ. ბოცვაძე აკაკის პედაგოგიური აზრების მოკლე მიმოხილვა, ჟურნ. "განათლება", 1908,¹⁷⁻⁸, გვ.154).

ვფიქრობთ, ეს ორი ამონარიდი, სავსებით საკმარისია, რათა მკითხველს წარმოედგინა შეექმნას იმ პერიოდის ქართველ მოღვაწეთა პოზიციაზე ქალ-ვაჟთა განათლების თანასწორუფლებიანობის შესახებ. და ცხადია, შედეგმაც არ დააყოვნა. 1909 წელს თბილისში გაიხსნა ქალთა პირველი უმაღლესი სასწავლებელი, თბილისის ქალთა უმაღლესი კურსები. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საქართველოში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა. ეს სასწავლებელი გაიხსნა ქალთა ერთი ჯგუფის კერძო ინიციატივით. ის ფაქტი, რომ საქართველოში პირველი უმაღლესი სასწავლებელი ქალთა მიერ იყო გახსნილი, ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ამ ქვეყანაში ქალთა უფლებები განათლებაზე არასოდეს ილახებოდა.მით უფრო XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე, როცა ქალები, მამაკაცების დარად, არა თუ განათლებას იღებენ, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად არიან ჩაბმულნი.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ამ მცირე ისტორიული ექსკურსის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გენდერული თანასწორობის ერთ-ერთი ასპექტი, კერძოდ, ქალთა უფლება განათლების მიღებაზე, საქართველოში უძველესი დროიდან მოქმედებდა და უფრო მეტიც, ქართველი ქალი, მამაკაცის დარად მუდამ ჩაბმული იყო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული პედაგოგიკის ისტორია, გამომცემლობა, განათლება, თბილისი, 1974წ.
2. გიორგი თავზიშვილი - რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, I, II, III, გამომცემლობა განათლება. 1980წ
3. ი. ჭკუასელი - ჟურნალი განათლება და მისი ადგილი ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში, გამომც. განათლება,1981წ.

სტატია მიღებულია: 2005-10-20